ჭეშმარიტად, ჩემთვის ყველაზე საყვარლები და სასამართლოს დღეს ჩემთან ყველაზე ახლოს მჯდომნი იქნებიან თქვენგან ყველაზე კეთილი ზნეობის მქონენი

ჯაბირი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ჭეშმარიტად, ჩემთვის ყველაზე საყვარლები და სასამართლოს დღეს ჩემთან ყველაზე ახლოს მჯდომნი იქნებიან თქვენგან ყველაზე კეთილი ზნეობის მქონენი, ხოლო ჩემთვის ყველაზე საძულველნი და ჩემგან ყველაზე შორს მჯდომნი სასამართლოს დღეს იქნებიან ლაყბები, თავიანთ სიტყვებში ქედმაღალნი და დიდგულოვნად მოლაპარაკეები». ხალხმა ჰკითხა: „ჩვენ ვიცით ლაყბები და ქედმაღალნი სიტყვებში, მაგრამ ვინ არიან დიდგულოვნად მოლაპარაკეები?“ მან უპასუხა: «ისინი არიან ამპარტავნები».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა ალ-თირმიზიმ]

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნო, რომ მისთვის ყველაზე საყვარელი და განკითხვის დღეს მის ყველაზე ახლოს მყოფი ადამიანები ისინი არიან, ვისაც საუკეთესო ზნეობა აქვს. ხოლო მისთვის ყველაზე საძულველი და განკითხვის დღეს მისგან ყველაზე შორს მდგომი ისინი იქნებიან, ვისაც ცუდი ზნეობა აქვს, ესენი არიან: (ას სარსაარუნ) – ისინი, ვინც ზედმეტად ბევრს ლაპარაკობენ, იძულებით და ჭეშმარიტების მიღმა გასვლით; (ალ-მუთაშადდიყუნ) – ისინი, ვინც სიტყვებში ზედმეტად ცდილობენ დახვეწილობას და თავიანთ სიტყვებს ზედმეტად აჭარბებენ, ყოველგვარი სიფრთხილისა და თავშეკავების გარეშე; (ალ-მუთაფაიჰიყუნ) –ალლაჰის მოციქულს საჰაბებმა ჰკითხეს: ო, ალლაჰის მოციქულო, ჩვენ გავიგეთ, ვინ არიან ‘ას-სარსარუნ’ და ‘ალ-მუთაშადდიყუნ’, მაგრამ ვინ არიან ‘ალ-მუთაფაიჰიყუნ’?“უპასუხა: ესენი არიან ქედმაღლები, ადამიანები, რომლებიც სხვებს დასცინიან და თავიანთი სიტყვებით იწონებენ თავს, უხვად ლაპარაკობენ და პირებს აფართოებენ.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/5802